საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პროგრამა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ ფარგლებში აცხადებს კონკურსს ქართული ენის სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების ხელშესაწყობად.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი სტრატეგიის ფარგლებში ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გაუმჯობესება და რეგიონების ქართული ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება.

სამუშაოს აღწერა

პედაგოგიური საქმიანობის გარდა, მასწავლებლებმა ქართულ ენაში უნდა მოამზადონ სკოლების ადგილობრივი მასწავლებლები, ასევე თემში ქართული ენის შესწავლის მსურველები. შერჩეული მასწავლებლების პასუხისმგებლობაა, ასევე, სკოლაში ქართული ენის კლუბის შექმნა, სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება, ქართული ენის საღამოების/კონკურსების მოწყობა, სადაც მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ერთად ჩართული იქნებიან მშობლებიც.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სერტიფიცირება (სავალდებულო);
- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება (სავალდებულო);
- სასურველია სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში ან კახეთში (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში) ქართული ენის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ქართულ ფილოლოგიაში);
- სასურველია რუსული, ასევე სომხური ან აზერბაიჯანული ენების საბაზო დონეზე ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, ინტერნეტის და ელექტრონული ფოსტის გამოყენება (სავალდებულო);
- კომუნიკაბელურობა, უცხო გარემოში ადაპტაციის უნარი.

ანგარიშგება და ანაზღაურება

თითოეულ ტრენერ-მასწავლებელთან ცენტრი გააფორმებს ხელშეკრულებას, სადაც განისაზღვრება მათი საქმიანობის სფერო და აღწერილობა. მასწავლებელს დამატებით ექნება საკონტრაქტო ვალდებულება სკოლასთან.

მასწავლებელი უნდა თანამშრომლობდეს რესურსცენტრებთან და ანგარიშვალდებული იყოს სკოლასთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

მასწავლებლის ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 1 000 ლარს (სახელმწიფო გადასახადების გარეშე) და დამატებით მიიღებს სკოლის საათობრივ ანაზღაურებას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ <u>**თანდართული ანკეტა**</u> და გამოგზავნონ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: meoreena@tpdc.ge , **არასწორად შევსებული ანკეტა ან სხვა სახით მოწოდებული ინფორმაცია არ განიხილება**.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.tpdc.ge

ანკეტის მიღების ბოლო ვადაა 21 ივნისი, 17:00 სთ.